საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/72

01 ---- დეკემბერი, 2016 წელი ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩასატარებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, **89[11]**-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის 2015 წლის 27 ნოემბრის კანონის (გამოქვეყნებული, 10/12/2015, სარეგისტრაციო კოდი 430020000.05.001.018008) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 ივნისის N70/ნ ბრძანების (გამოქვეყნებული - ვებგვერდი, 15/06/2016, სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.022.017144), საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, მე-V[1]თავის, 62[1]-62[5], 63-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ბსუ-ს წესდების შესაბამისად საქმიანობის წარმართვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის N46 დადგენილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ნოემბრის N4 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2016 წლის 20 დეკემბერს ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად **არაუგვიანეს 2016 წლის 9 დეკემბრისა** წარმოდგენილი იქნეს:

   ა) წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ატესტაციის წესის შესაბამისად შედგენილი **ანკეტა** - თითოეული სამეცნიერო თანამდებობის პირის მიერ;
   ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ატესტაციის წესის შესაბამისად შედგენილი თითოეული სამეცნიერო თანამდებობის პირის

დახასიათება შესაბამისი პირის მიერ (სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსების მიერ - ამ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირის შესახებ; სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ - ამ ინსტიტუტის განყოფილების უფროსების შესახებ; ინსტიტუტის დირექტორის მიერ - სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის შესახებ).

2. არაუგვიანეს 2016 წლის 12 დეკემბრისა წარდგენილი იქნეს აკადემიურ საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად საატესტაციო კომისიის შემადგენლობა.
3. არაუგვიანეს 2016 წლის 13 დეკემბრისა სამეცნიერო პერსონალს დაეგზავნოს ამ გრძანების შესაბამისად წარმოდგენილი მათი დახასიათებები.
4. არაუგვიანეს 2016 წლის 16 დეკემბრისა აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საატესტაციო კომისიის შემადგენლობას გადაეცეს სამეცნიერო პერსონალის ანკეტები და დახასიათებები.
5. გრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს.
6. კონტროლი ამ გრძანებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ ნათელა წიკლაშვილს.
7. გრძანება, მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა და შესაბამისი განცხადება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
8. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).
9. გრძანება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**